

საქართველოს კანონი

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი I №47, მუხ. 404, 12.26.2007) მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს მიერ შემუშავებულ წინადადებებზე გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი, დაინტერესებულ უწყებასთან შეთანხმებით.“.

მუხლი 2. ამ კანონის ამოქმედებამდე გარემოზე ზემოქმედების შეფასების გათავისუფლებასთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

*მიხეილ სააკაშვილი*